

მათემატიკის სარემედიაციო პროგრამის გზამკვლევი III კლასი

სარემედიაციო პროგრამის მიზანი

დაწყებით კლასებში მათემატიკის უნარების განვითარება ზოგადი განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა და სხვა აკადემიურ დისციპლინებში წარმატების მიღწევის აუცილებელი პირობაა. აღნიშნული მიზნის მიღწევა სხვადასხვა მოსწავლესთან სხვადასხვა სახის სწავლა-სწავლების პროცესს საჭიროებს. ბევრ ქვეყანაში ყოველდღიური სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების და დიფერენცირებული სწავლების გარდა, მათემატიკაში პრობლემების მქონე ბავშვებისათვის დამატებით მიმართავენ ე.წ. სარემედიაციო პრაქტიკას. ამ ინტერვენციის მიზანია მოსწავლეთა ხელშეწყობა სწავლის ფუნდამენტური უნარების (წიგნიერება და მათემატიკა) ათვისების კუთხით არსებული სირთულეების აღმოსაფხვრელად. საქართველოს სკოლებში სარემედიაციო პროგრამის პილოტირებამ აჩვენა, რომ რემედიაციის მოსწავლეები სწრაფად ეწევიან სასწავლო პროცესს და პროგრამას, და მოკლევადიანი რემედიაციის შემდეგ, მომავალში, წარმატებებს აღწევენ საგანში. გარდა ამისა, რემედიაციის პროგრამა დიდ გავლენას ახდენს მთლიანად იმ კლასის წარმატებების მაჩვენებლებზე მათემატიკაში, რომელთაც რემედიაციის მოსწავლეები წარმოადგენენ.

სარემედიაციო პროგრამის სამიზნე ჯგუფი და შერჩევის კრიტერიუმები

რემედიაციის პროგრამა ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ესგ-ის სტანდარტების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი ფორმები და სტრატეგიები. პროგრამაში მონაწილეობენ ისეთი მოსწავლეები, რომელთათვისაც სტანდარტული სასწავლო პროცესი სხვადასხვა საკვანძო/სამიზნე ინდიკატორით განსაზღვრული უნარ-ჩვევების დასაუფლებლად საკმარისი არ არის.

მათემატიკის სარემედიაციო პროგრამაში მონაწილეობისთვის მონაწილეების შერჩევა ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- მოსწავლე სწავლობს III კლასში.
- მოსწავლეს ახასიათებს მათემატიკის სამიზნე უნარებში მკაფიოდ გამოხატული პრობლემები.
- მოსწავლეს აქვს უნარიანობის დამაკმაყოფილებელი დონე კითხვაში.
- მოსწავლეს არ აქვს მძიმე და/ან ძალიან მძიმე ინტელექტუალური, ფსიქო-სოციალური ან ფიზიკური დარღვევა, რაც საჭიროებს სპეციალური, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობას.
- მოსწავლის ოჯახი თანახმაა მოსწავლის ჩართვაზე სარემედიაციო პროგრამაში.
- მოსწავლეს შეუძლია სრულფასოვნად იყოს ჩართული რემედიაციის პროგრამაში.

სარემედიაციო პროგრამის ხელმძღვანელობა სკოლაში: მოსწავლეთა სარემედიაციო ჯგუფთან გაკვეთილებს წარმართავს საგნის მასწავლებელი, რომელიც, შესაძლოა, არ იყოს საგნის ძირითადი მასწავლებელი სარემედიაციო ჯგუფის მოსწავლეების კლასებში, მაგრამ გავლილი აქვს სპეციალური მომზადება რემედიაციის პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით. სწორედ მის კომპეტენტურობასა და დროულ, სწორ რეაგირებაზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად წარმართება პრობლემის აღმოფხვრის პროცესი. თუმცა, იმისათვის, რომ მოსწავლეთა საჭიროებების ფართო სპექტრი დაკმაყოფილდეს, სარემედიაციო ჯგუფების მასწავლებლებს აუცილებლად სჭირდებათ სკოლის ადმინისტრატორის, კლასის დამრიგებლის, საგნის ძირითადი მასწავლებლისა და მშობლების მხარდაჭერა და ჩართულობა. ეფექტური სარემედიაციო პროგრამა მიზანს აღწევს სწორედ ამ ოთხი ჯგუფის თანამშრომლობითა და სრულფასოვანი ჩართულობით.

სარემედიაციო ჯგუფის ზომა და რაოდენობა: სარემედიაციო ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია 4-7 ბავშვით. მოსწავლეთა რაოდენობისა და სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე, სკოლაში შეიძლება შეიქმნას ერთი, ორი ან რამდენიმე სარემედიაციო ჯგუფი საგანში.

სარემედიაციო პროგრამის ინტენსივობა: სარემედიაციო პროგრამა თითოეულ საგანში ითვალისწინებს 18 გაკვეთილს (გაკვეთილის ხანგრძლიობაა 40-45 წთ), რომელიც ტარდება 6 კვირის განმავლობაში (კვირაში 3 გაკვეთილი). გაკვეთილები ტარდება არასაგაკვეთილო დროს, გაკვეთილების დაწყებამდე (II ცვლის შემთხვევაში) ან დასრულების შემდეგ. მათემატიკის სარემედიაციო ჯგუფის ძირითადი ფორმატია მცირე ჯგუფებში, წყვილებში ან ინდივიდუალური მუშაობა.

მასწავლებელთა და სკოლის წარმომადგენელთა მომზადება

რემედიაციის პროგრამის განხორციელების დაწყებამდე, ისევე როგორც მისი განხორციელების პროცესში, უნდა მოხდეს პროგრამაში ჩართული მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორის მომზადება. მასწავლებლები მომზადებიან 4 ეტაპად. მოსამზადებელი პროგრამის დაწყებამდე სკოლის დირექტორებმა უნდა შეარჩიონ საგნის რამდენიმე მასწავლებელი (სარემედიაციო ჯგუფის სწავლების პოტენციური წარმმართველები).

მომზადების ეტაპი და თარიღი	შემსრულებლები	მომზადების შინაარსი
ეტაპი 1. საორიენტაციო შეხვედრა პროგრამის საწყისი დღე	სკოლის დირექტორი, მათემატიკის მასწავლებლები	<p>პროცედურული საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> რემედიაციის პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაციის გაზიარება პროგრამაში ჩართული მონაწილეების ძირითადი მოვალეობების გარკვევა სამიზნე მოსწავლეთა შერჩევის პროცედურები და ინსტრუმენტების გაცნობა მოსწავლეთა მოტივაციისა და მშობლებთან მუშაობის სტრატეგიების შერჩევა

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

		<p>შინაარსობრივი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება და რემედიაციის არსი • მათემატიკის სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეების პრობლემები • ინსტრუქციები ინტერვენციონისტი მასწავლებლისთვის • სწავლების ინოვაციური სტრატეგიების და პრინციპების გამოყენება რემედიაციის გაკვეთილებზე: სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდი, განმავითარებელი შეფასება, სწავლების დიფერენცირება.
<p>ეტაპი 2. 2-დღიანი მოსამზადებელი ტრენინგი</p> <p>პროგრამის მიმდინარეობის პირველი კვირა</p>	<p>სარემედიაციო ჯგუფების მათემატიკის მასწავლებლები</p>	<ul style="list-style-type: none"> • სადიაგნოსტიკო ინტერვიუ, მისი მომზადება, ჩატარება და შედეგების ანალიზი -ზოგადი რჩევები • ფოკუსირებული ტესტირების ჩატარების ინსტრუმენტები და ინსტრუქციები • სადიაგნოსტიკო ინტერვიუს ჩატარების ინსტრუმენტები და ინსტრუქციები • სადიაგნოსტიკო ინტერვიუს ჩატარების მოდელირება • ინტერვიუს მსვლელობის აღრიცხვის ფორმა და ფორმა სადიაგნოსტიკო ინტერვიუს დასკვნისთვის • ეფექტური ინტერვენციის სახეობები და ხერხები • ტექსტიანი ამოცანების ამოხსნის სპეციფიკა • ნაყოფიერი ინტერვენციისთვის საჭირო სასწავლო რესურსები და მათი გამოყენების გზები (აქტივობათა კრებულების განხილვა) • რეაგირება მოსწავლეთა საჭიროებებზე • მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგი
<p>ეტაპი 3. 1-დღიანი მოსამზადებელი ტრენინგი</p> <p>პროგრამის დაწყებიდან პირველი თვის ბოლოს (ინტერვენციის დაწყებამდე)</p>	<p>სარემედიაციო ჯგუფების მათემატიკის მასწავლებლები</p>	<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეთა შერჩევა სარემედიაციო ჯგუფებისთვის • ტექსტიანი ამოცანების ამოხსნის სწავლებისათვის შესაფერისი ინტერვენციების ნიმუშების განხილვა • ინტერვენციის ჩატარების მოდელირება • ინტერვენციის დაგეგმვა, ინტერვენციული გაკვეთილების განრიგი და ინტერვენციის მონიტორინგის სქემა • მოსწავლეთა პორტფოლიოები, მათი შეგროვება და ანალიზი, პორტფოლიოს შეფასების ფორმები/ კრიტერიუმები
<p>ეტაპი 4. 1-დღიანი მოსამზადებელი ტრენინგი</p> <p>ინტერვენციის დაწყებიდან სამი კვირის თავზე</p>	<p>სარემედიაციო ჯგუფების მათემატიკის მასწავლებლები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ინტერვენციის მიმდინარე მონიტორინგის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები/ დასკვნები ინტერვენციების ხარისხის შესახებ • მოსწავლეთა პორტფოლიოების ანალიზი და რეკომენდაციები/დასკვნები ინტერვენციების ეფექტიანობის შესახებ • მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგის საფუძველზე ინტერვენციაში კორექტივების შეტანის გზები • ინტერვენციაში შესატანი ცვლილებების შემუშავება • პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა - დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება, კვლევის ანგარიშის მომზადება

სარემედიაციო პროგრამის განხორციელების საფეხურები და ვადები

განხორციელების საფეხური და საჭირო დრო	შემსრულებლები	განხორციელების საფეხურის შინაარსი
<p>საფეხური 1. მოსწავლეთა შერჩევა სარემედიაციო პროგრამაში (პროგრამის კვირები)</p>	<p>სკოლის დირექტორი, მათემატიკის მასწავლებლები</p>	<p>დიაგნოსტიკების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით უნდა გამოვლინდნენ ის მოსწავლეები, რომლებსაც სირთულეები აქვთ მათემატიკის სამიზნე უნარებში და საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას</p>
<p>საფეხური 2. სარემედიაციო ინტერვენციის დაგეგმვა და გაკვეთილის გეგმების შემუშავება (პროგრამის მიმდინარეობის მეხუთე კვირა)</p>	<p>სკოლის დირექტორი, სარემედიაციო ჯგუფების მათემატიკის მასწავლებლები</p>	<p>უნდა შედგეს რემედიაციის გრაფიკი, შემუშავდეს სარემედიაციო პროგრამა და ჩასატარებელი სასწავლო აქტივობების გეგმები</p>
<p>საფეხური 3. სარემედიაციო გაკვეთილების ჩატარება და ინტერვენციის მონიტორინგი (ინტერვენციის პირველი სამი კვირა)</p>	<p>სკოლის დირექტორი, ფსიქოლოგი, სარემედიაციო ჯგუფების მათემატიკის მასწავლებლები</p>	<p>უნდა წარიმართოს ინტერვენციის პროცესი, რომლის გასწავლობაში აღირიცხება მოსწავლეთა დასწრება, გამოიყენება სასწავლო რესურსები და ტრენინგზე დაუფლებული სწავლების რემედიაციული ტექნიკები, იქმნება მოსწავლეთა ინდივიდუალური პორტფოლიოები, ხდება ყოველკვირეული კომუნიკაცია მშობლებთან და მოსწავლის ძირითად საგნობრივ მასწავლებელთან, სარემედიაციო სამუშაოს პროცესში გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება ინტერვენციის პროცესის მონიტორინგი. განიხილება მოსწავლეების პორტფოლიოები, პროგრესის მონიტორინგისა და ინტერვენციის მონიტორინგის შედეგები, მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და შემუშავდება რეკომენდაციები მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართული პირებისთვის (მასწავლებელი, მშობელი და ა.შ.).</p>
<p>საფეხური 4. ინტერვენციის შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილებების მიღება (ინტერვენციის დასრულების მომდევნო კვირა)</p>	<p>სკოლის დირექტორი, სარემედიაციო ჯგუფების მათემატიკის მასწავლებლები</p>	<p>უნდა შემოწმდეს მოსწავლეების მიერ მიღწეული პროგრესი სამიზნე უნარებში, რისთვისაც ჩატარდეს ტესტირების შედეგების ანალიზი, რომელიც გამოვლენს პროგრესს თითოეული მოსწავლისთვის, თითოეული სარემედიაციო ჯგუფისთვის და მთლიანად სამიზნე ჯგუფის მოსწავლეებისთვის.</p>

<p>საფეხური 5. გამოცდილების შეჯამება და გაზიარება (ინტერვენციის დასრულების მომდევნო კვირა)</p>	<p>სკოლის დირექტორი, მათემატიკის მასწავლებლები</p>	<p>უნდა ჩატარდეს შემაჯამებელი უკუკავშირის სემინარი რემედიაციის პროგრამაში ჩართული მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორის შემადგენლობით.</p>
-------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

საფეხური 1. მოსწავლეთა შერჩევა სარემედიაციო პროგრამაში ჩასართავად (პროგრამის მეორე-მეხუთე კვირები)

დიაგნოსტიკების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით უნდა გამოვლინდნენ ის მოსწავლეები, რომლებსაც სირთულეები აქვთ მათემატიკის სამიზნე უნარებში და საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას. მოსწავლეთა შერჩევა რამდენიმე ეტაპად ხორციელდება:

- (1) **სკრინინგული ტესტირება (პროგრამის მიმდინარეობის მეორე კვირა)** - მოსწავლეთა გაფართოებული სამიზნე ჯგუფის შერჩევის მიზნით მესამე კლასის მასწავლებლები ატარებენ სკრინინგულ ტესტირებას. სკრინინგული ტესტი მზადდება პორტალზე kargiskola.ge დიაგნოსტიკური შეფასების არეში განთავსებული ახალი ტესტის გენერირების მოდულის საშუალებით. მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს მე-2 კლასი და დააგენერიროს სკრინინგული ტესტი ცნობილი ინსტრუქციების მიხედვით. ბუნებრივია ერთი სკოლის ფარგლებში გამოიყენება ერთი სკრინინგული ტესტი, თუმცა იგი, სავარაუდოდ, განსხვავდება სხვა სკოლაში გენერირებული ტესტისგან. მიუხედავად ამისა, ყველა სწორად გენერირებული ტესტი მოსწავლეთა დიაგნოსტიკების საშუალებას იძლევა.
- (2) **სკრინინგული ტესტების შემოწმება (პროგრამის მიმდინარეობის მესამე კვირა)** მუშავდება ტესტები და ტესტის შედეგები გადაეცემა სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელსა და დირექტორს.
- (3) **მშობლებთან შეხვედრა და სამოქმედო გეგმის შეთანხმება (პროგრამის მიმდინარეობის მესამე კვირა)** - სარემედიაციო ჯგუფის მოსწავლეების შერჩევის დასრულების შემდეგ რემედიაციის ჯგუფის მასწავლებელმა და შესაბამისი კლასის დამრიგებელმა ინდივიდუალური შეხვედრები უნდა გამართონ მოსწავლეების მშობლებთან. შეხვედრაზე მშობლებმა მიიღებენ ინფორმაციას სარემედიაციო პროგრამის მიზნების, შინაარსის, ხანგრძლივობის, განრიგის, ასევე მოსწავლისა და მშობლის ვალდებულებების შესახებ. მასწავლებელი შეადგენს იმ მშობლების სიას, ვინც წინააღმდეგია მისი შვილის მონაწილეობისა რემედიაციოში.
- (4) **ფოკუსირებული ტესტირება (პროგრამის მიმდინარეობის მეოთხე კვირა)** - სკრინინგული ტესტით გამოვლენილ მოსწავლეებს, რომელთა მშობლებიც წინააღმდეგი არ იყვნენ, ჩაუტარდებათ ფოკუსირებული ტესტირება. ტესტირების შედეგად გამოირიცხება შერჩევის შემთხვევითი ფაქტორები და გაირკვევა თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები სამიზნე უნარებთან მიმართებით.
- (5) **ფოკუსირებული ტესტების შემოწმება (პროგრამის მიმდინარეობის მეოთხე კვირა)** - მოხდება სკრინინგული ტესტის შედეგების შეჯამება.
- (6) **მოსწავლეთა შერჩევა სადიაგნოსტიკო ინტერვიუსთვის (პროგრამის მიმდინარეობის მეოთხე კვირის ბოლო)** - შედეგების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

(7) ზეპირი დიაგნოსტიკური ინტერვიუ (პროგრამის მიმდინარეობის მეხუთე კვირა) - სკრინინგული და ფოკუსირებული ტესტირების შედეგების მიხედვით შერჩეულ მონაწილეებს ჩაუტარდებათ ზეპირი დიაგნოსტიკური ინტერვიუ. ინტერვიუს მიზანია დაბალი შედეგების განმაპირობებელი მიზეზებისა და სამიზნე უნარებთან მიმართებით არსებული ხარვეზების მასშტაბების დადგენა.

(8) სარემედიაციო ჯგუფის / ჯგუფების დაკომპლექტება (პროგრამის მიმდინარეობის მეხუთე კვირა) - მასწავლებლებმა დირექტორთან ერთად უნდა შეადგინონ მონაწილე მოსწავლეების საბოლოო სია, განსაზღვრონ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პროფილი და გაანაწილონ ჯგუფებში ისე, რომ თითოეულ ჯგუფში შემადგენლობა მეტ-ნაკლებად ჰომოგენური იყოს მოსწავლეთა მზაობის მიხედვით.

შენიშვნა: მათემატიკის სარემედიაციო პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით მათემატიკის რემედიაციის ჯგუფის დაკომპლექტებისთვის აუცილებელია გამოვიყენოთ სკრინინგული და ფოკუსირებული ტესტირებების შედეგები როგორც მათემატიკაში, ისე - ქართულ ენაში. კერძოდ, წერა-კითხვაში სკრინინგულ ტესტირებაში დაბალი შედეგების მქონე მოსწავლეები საჭიროა გამოირიცხოთ მათემატიკის სარემედიაციო ჯგუფებიდან, რათა ამ კომპეტენციებში არსებულ ხარვეზებმა ხელი არ შეუშალოს ბავშვებს ტექსტიანი ამოცანების ამოხსნასთან დაკავშირებული კომპეტენციების წარმოჩენასა და განვითარებაში.

საფეხური 2. სარემედიაციო ინტერვენციის დაგეგმვა და გაკვეთილის გეგმების შემუშავება (პროგრამის მიმდინარეობის მეხუთე კვირა).

შერჩეულ მოსწავლეთა მშობლებთან და დირექტორთან ერთად ინტერვენციონისტმა მასწავლებლებმა უნდა შეადგინეს რემედიაციის გრაფიკი.

სკრინინგული და ფოკუსირებული ტესტირებისა და ზეპირი დიაგნოსტიკური ინტერვიუს შედეგების საფუძველზე მასწავლებელმა და დირექტორმა უნდა შეიმუშავონ სარემედიაციო პროგრამა და ჩასატარებელი სასწავლო აქტივობების გეგმები.

საფეხური 3. სარემედიაციო გაკვეთილების ჩატარება და ინტერვენციის მონიტორინგი (ინტერვენციის პირველი სამი კვირა)

სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებლებმა წარმართავენ ინტერვენციის პროცესს 4-7 მოსწავლიან ჯგუფებში. სწავლების პარალელურად მასწავლებელი:

- მოსწავლეებს აკვირდება გაკვეთილების მსვლელობისას და აღრიცხავს თითოეული მოსწავლის წინსვლასა თუ შეფერხებებს სპეციალურად შექმნილი სააღრიცხვო ცხრილების გამოყენებით
- კონსულტაციებს გადის სკოლის ფსიქოლოგთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოსწავლეთა მოტივაციის სტრატეგიებისა და ხერხებისა და მათი დანერგვის შესახებ.

მასწავლებელი გაკვეთილებზე აღრიცხავს მოსწავლეთა დასწრებას, იყენებს სასწავლო რესურსებსა და ტრენინგზე დაუფლებულ სწავლების რემედიაციულ ტექნიკებს, ქმნის

მოსწავლეთა ინდივიდუალურ პორტფოლიოებს, აქვს ყოველკვირეული კომუნიკაცია მშობლებთან და მოსწავლის ძირითად საგნობრივ მასწავლებელთან.

სარემედიაციო სამუშაოს პროცესში გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება ინტერვენციის პროცესის მონიტორინგი. სკოლის დირექტორი და ფსიქოლოგი ესწრებიან სარემედიაციო გაკვეთილებს და მასწავლებლებს აწვდიან უკუკავშირს; განიხილავენ მოსწავლეების პორტფოლიოებს, პროგრესის მონიტორინგისა და ინტერვენციის მონიტორინგის შედეგები. ისინი მასწავლებელთან ერთად იღებდნენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და იმუშავებდნენ რეკომენდაციებს მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართული პირებისთვის (მასწავლებელი, მშობელი და ა.შ.).

საფეხური 4. ინტერვენციის შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილებების მიღება (ინტერვენციის დასრულების მომდევნო კვირა)

6-კვირიანი პროგრამის დასასრულს მასწავლებლებმა უნდა შეამოწმონ მოსწავლის მიერ მიღწეული პროგრესი სამიზნე უნარებში. ამისათვის, მათ უნდა გამოიყენონ პროგრამის დასაწყისში გამოყენებული ფოკუსირებული პრეტესტის ანალოგიური პოსტტესტი. მასწავლებლებმა უნდა შეამოწმონ ნაშრომები და დაწერონ ქულები რუბრიკის საშუალებით. ტესტირების შედეგები თავმოყრილი უნდა იქნას დირექტორისა და რემედიაციის მასწავლებლების მიერ და უნდა ჩატარდეს შედეგების ანალიზი, რომელიც გამოვლენს პროგრესს თითოეული მოსწავლისთვის, თითოეული სარემედიაციო ჯგუფისთვის და მთლიანად სამიზნე ჯგუფის მოსწავლეებისთვის.

საფეხური 5. გამოცდილების შეჯამება და გაზიარება (ინტერვენციის დასრულების მომდევნო კვირა)

ინტერვენციის პროგრამისა და მისი შედეგების ანალიზის დასრულების შემდეგ უნდა ჩატარდეს შემაჯამებელი უკუკავშირის სემინარი რემედიაციის პროგრამაში ჩართული მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორის შემადგენლობით. სემინარზე მასწავლებლებმა უნდა წარმოადგინონ მშობლებისა და მოსწავლეების, აგრეთვე თავისი პირადი მოსაზრებები რემედიაციის პროგრამასთან და მის შედეგებთან დაკავშირებით. დირექტორმა მასწავლებლებს უნდა წარუდგინოს მონიტორინგის შედეგების სრული ანალიზი და თითოეულ მასწავლებელს გადასცეს მათ გაკვეთილზე დაკვირვების შედეგების მოკლე ჩანაწერები (შენიშვნები და რეკომენდაციები). ჩატარებული რემედიაციის პროგრამის მასალების (მოსწავლეთა პორტფოლიოები, მასწავლებელთა პორტფოლიოები და სხვა) გამოყენებით მასწავლებლებმა შესაძლებელია გააფორმონ პრაქტიკის კვლევის ანგარიში და წარუდგინონ სკოლის შეფასების ჯგუფს კრედიტის მისაღებად.

პროგრამის განხორციელების დეტალური განრიგი

აქტივობა	პროგრამის პირველი თვე				პროგრამის მეორე თვე				პროგრამის მესამე თვე			
	პირველი კვირა	მეორე კვირა	მესამე კვირა	მეოთხე კვირა	პირველი კვირა	მეორე კვირა	მესამე კვირა	მეოთხე კვირა	პირველი კვირა	მეორე კვირა	მესამე კვირა	მეოთხე კვირა
საორიენტაციო შეხვედრა	■											
2-დღიანი მოსამზადებელი ტრენინგი	■											
სკრინინგული ტესტირება		■										
სკრინინგული ტესტების შემოწმება			■									
მშობლებთან შეხვედრა და სამოქმედო გეგმის შეთანხმება			■									
ფოკუსირებული ტესტირება				■								
ფოკუსირებული ტესტების შემოწმება				■								
ფოკუსირებული ტესტების შემოწმება				■								
მოსწავლეთა შერჩევა სადიაგნოსტიკო ინტერვიუსთვის				■								
ზეპირი დიაგნოსტიკური ინტერვიუ					■							
სარემედიაციო ჯგუფის / ჯგუფების დაკომპლექტება					■							
1-დღიანი მოსამზადებელი ტრენინგი					■							
სარემედიაციო გაკვეთილების ჩატარება და ინტერვენციის მონიტორინგი						■	■	■	■	■	■	
1-დღიანი მოსამზადებელი ტრენინგი								■				
ინტერვენციის შედეგების ანალიზი და												■

გადაწყვეტილებების მიღება												
გამოცდილების შეჯამება და გაზიარება												

რემედიაციის პროგრამის მონაწილეთა ფუნქციები და მოვალეობები

სკოლის დირექტორი

- სასკოლო საზოგადოებას აცნობს რემედიაციის პროგრამის მნიშვნელობასა და არსს;
- შეარჩევს კვალიფიციური და მოტივირებული მასწავლებლები რემედიაციის პროგრამის განსახორციელებლად;
- მონაწილეობს მასწავლებლების საორიენტაციო შეხვედრაში;
- მონაწილეობს და ეხმარება მასწავლებლებს სარემედიაციო ჯგუფებისთვის მოსწავლეთა შერჩევის პროცესში;
- მონიტორინგს უწევს სარემედიაციო პროგრამის განხორციელებას, რეგულარულად ესწრება გაკვეთილებს და მასწავლებლებს სთავაზობს კონსტრუქციულ უკუკავშირს;
- საჭიროებისამებრ, მონაწილეობს სარემედიაციო პროგრამისა და გაკვეთილების დაგეგმვაში;
- მონაწილეობს ინტერვენციის საბოლოო შედეგების შეჯამებაში;
- ქმნის რემედიაციის პროგრამის განხორციელებისთვის ხელსაყრელ გარემოსა და პირობებს სკოლაში (საკლასო ოთახის გამოყოფა, განრიგის შემუშავება, საკანცელარიო რესურსებით უზრუნველყოფა, პროექტის ტრენერ-კონსულტანტების მხარდაჭერა მონიტორინგის დროს, და ა.შ.);

რემედიაციის ჯგუფის მასწავლებელი

- მონაწილეობს შესაბამის საგანში რემედიაციის პროგრამის საორიენტაციო თუ შემაჯამებელ შეხვედრასა და მეთოდურ ტრენინგ-სესიებში;
- აორგანიზებს მოსწავლეთა შერჩევის პროცესს: ადგენს სკრინინგული ტესტის, ფოკუსირებული ტესტისა და ინდივიდუალური ფოკუსირებული ინტერვიუების ჩატარების განრიგს; შემუშავებულ განრიგს უზიარებს სკოლის დირექტორს;
- მონაწილეობს სარემედიაციო ჯგუფის მოსწავლეთა შერჩევის პროცესში:
 - ადგენს სკრინინგულ ტესტს და თანამშრომლობს საგნის ძირითად მასწავლებლებთან სკრინინგული ტესტის ჩატარების პროცესში; საგნის ძირითადი მასწავლებლების თანამშრომლობით აანალიზებს სკრინინგული ტესტის შედეგებს;
 - დირექტორთან და სხვა რემედიატორ მასწავლებლებთან ერთად ატარებს ფოკუსირებულ ტესტირებას და აანალიზებს მის შედეგებს;
 - საგნის მასწავლებელთან და სხვა რემედიატორ მასწავლებელთან თანამშრომლობით ატარებს ინდივიდუალურ ფოკუსირებულ ინტერვიუს შერჩეულ მოსწავლეებთან.
- დირექტორთან და სხვა რემედიატორ მასწავლებლებთან თანამშრომლობით იმუშავებდა სარემედიაციო პროგრამასა და გაკვეთილების გეგმებს;

- ატარებს სარემედიაციო გაკვეთილებს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით; აკვირდება და აღრიცხავს მოსწავლეთა პროგრესს;
- რეგულარულად თანამშრომლობს მშობლებთან, ფსიქოლოგთან, კლასის დამრიგებელთან და საგნის ძირითად მასწავლებელთან მოსწავლის მოტივაციისა და სასწავლო შედეგების ამაღლების მიზნით;
- სარემედიაციო პროგრამის დასასრულს ატარებს ფოკუსირებულ ტესტს (პოსტ-ტესტს) მოსწავლეთა პროგრესის გაზომვის მიზნით;
- დირექტორთან და სხვა რემედიატორ მასწავლებლებთან თანამშრომლობით განიხილავს და აანალიზებს მოსწავლეების შედეგებს შემდეგი მასალების საფუძველზე: ტესტები, მოსწავლის პორტფოლიო, მასწავლებლის ჩანაწერები და ა.შ. შეიმუშავებს რეკომენდაციებს მოსწავლისათვის; რეკომენდაციებს უზიარებს კლასის დამრიგებელს, საგნის ძირითად მასწავლებელსა და მშობლებს.
- მონაწილეობს რემედიაციის პროგრამის შემაჯამებელ შეხვედრაში.

საგნის ძირითადი მასწავლებელი

- თანამშრომლობს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელსა და კლასის დამრიგებელთან პროგრამის მსვლელობის დროს;
- ატარებს სკრინინგულ ტესტს, ანალიზებს შედეგებს და უზიარებს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს;
- ატარებს საგნის ფოკუსირებულ ტესტს, ანალიზებს შედეგებს და უზიარებს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს;
- ეხმარება სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელს მოსწავლეთა აკადემიური პრობლემების კვლევის პროცესში;
- სასწავლო პროცესში ითვალისწინებს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებლის რეკომენდაციებს;
- თანამშრომლობს მშობელთან მოსწავლის სარემედიაციო პროგრამაში ეფექტურად მონაწილეობის მიზნით.

კლასის დამრიგებელი

- თანამშრომლობს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელსა და საგნის ძირითად მასწავლებელთან;
- ეხმარება სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელს მოსწავლეთა აკადემიური პრობლემების კვლევის პროცესში;
- ხელს უწყობს მშობლების მხარდაჭერას მოსწავლის სარემედიაციო პროგრამაში მონაწილეობის პროცესში. ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას მშობელსა და სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელს შორის.

მშობელი

- ეცნობა რემედიაციის პროგრამის ფარგლებში მოსწავლესთან დაკავშირებულ მიზნებს, გაკვეთილის განრიგსა და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- თანამშრომლობს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელთან, პროექტის ექსპერტ-კონსულტანტებთან, საგნის ძირითად მასწავლებელსა და კლასის დამრიგებელთან მოსწავლის აკადემიური პრობლემების შესწავლის მიზნით;

- უზრუნველყოფს მოსწავლის რეგულარულად დასწრებას სარემედიაციო გაკვეთილებზე;
- მოსწავლეს უქმნის სარემედიაციო გაკვეთილებში ნაყოფიერად ჩართულობისათვის ხელსაყრელ პირობებს (კვება, სასწავლო ნივთები, ტრანსპორტირება, და ა.შ).

პროფესიული განვითარებისა და უწყვეტი განათლების კრედიტულები სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებლისთვის

რემედიაციის საპილოტე პროექტში ჩართულ მასწავლებლებს შესაძლებლობა ეძლევათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემის ფარგლებში მიიღონ კრედიტულები: (ა) საწრეო მუშაობა (0.5 კრედიტულა), (ბ) კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა (0.5 კრედიტულა), (გ) პრაქტიკის კვლევა (2 კრედიტულა) - მასწავლებლის არჩევანის შესაბამისად.

საწრეო მუშაობა

სარემედიაციო ჯგუფის მუშაობა, კონკრეტულად კი სარემედიაციო გაკვეთილების ჩატარება, თავისი მიზნებითა და დანიშნულებით შეესაბამება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემით განსაზღვრულ ერთ-ერთ დამატებით აქტივობას - საწრეო მუშაობა. სქემის თანახმად, საწრეო მუშაობის მიზნებია:

- მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში; მათი გაღრმავებული და ფოკუსირებული სწავლება;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა და განვითარება.

საწრეო მუშაობა, როგორც მასწავლებლის არჩევითი აქტივობა, გათვალისწინებულია როგორც პრაქტიკოსის, ისე უფროსისა და წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლებისთვის. შესაბამისად, ნებისმიერი კატეგორიის მასწავლებელს, რომელიც წარმართავს სარემედიაციო გაკვეთილებს, შეუძლია სქემით განსაზღვრული კრედიტულის აღება - 0.5 კრედიტი ერთი სემესტრის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობისთვის (მინიმუმ 6 გაკვეთილი).

საწრეო მუშაობის აქტივობაში კრედიტულის მისაღებად მასწავლებელმა სკოლის შეფასების ჯგუფს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. საწრეო მუშაობის რეფლექსია
2. მშობლებისა და მოსწავლეების შეფასება
3. ბმულის მისამართი, რომელზეც ატვირთულია წრის მუშაობის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა.

დეტალური ინფორმაცია საწრეო მუშაობის წარმართვისა და მასწავლებლის ანგარიშგების შესახებ წარმოდგენილია შემდეგ ლინკზე განთავსებულ ვიდეოინსტრუქციაში - <https://www.youtube.com/watch?v=1VF1AhjPMIQ>.

კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა

სარემედიაციო ჯგუფის ფარგლებში ჩატარდება საორიენტაციო შეხვედრა, ოთხი ტრენინგდღე და შემაჯამებელი შეხვედრა მასწავლებლებთან. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა შეესაბამება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემით განსაზღვრულ აქტივობას - კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა. კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა, როგორც არჩევითი აქტივობა, გათვალისწინებულია როგორც პრაქტიკოსის, ისე უფროსისა და წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლებისთვის. აკადემიური წლის განმავლობაში მინიმუმ სამ შეხვედრაში მონაწილეობისთვის მასწავლებლები შეძლებენ 0.5 კრედიტულის მიღებას.

კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობისთვის კრედიტულის მისაღებად მასწავლებელმა სკოლის შეფასების ჯგუფს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. გაკვეთილის გეგმა / გეგმები, რომელშიც წარმოჩენილია მის მიერ სამუშაო შეხვედრებზე შეძენილი ცოდნის / გამოცდილების გამოყენება პრაქტიკაში და / ან პროდუქტი (მაგ., შეფასების ინსტრუმენტი, სასწავლო რესურსი და ა.შ), რომელიც შექმნა ამ შეხვედრებზე შეძენილი ცოდნის გამოყენებით.
2. მასწავლებლის რეფლექსია.

დეტალური ინფორმაცია კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობისა და მასწავლებლის ანგარიშგების შესახებ წარმოდგენილია შემდეგ ლინკზე განთავსებულ ვიდეოინსტრუქციაში - <https://www.youtube.com/watch?v=S6SsEmZh0CU>.

ზოგადი რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია ანალოგიური პროგრამის განხორციელება მეორე კლასელებთან მეორე კლასის დასასრულს ან/და მეოთხეკლასელებთან მეოთხე კლასის დასაწყისში. ეს ხელს შეუწყობს ბავშვებში ტექსტიანი მათემატიკური ამოცანების ამოხსნაში წარმოქმნილი ხარვეზების დროულ აღმოფხვრას და შემდგომი სწავლისათვის მათ შემზადებას.
2. ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:
 - ინტერვიუზე ერთ ბავშვზე სასურველია გამოიყოს 1 საათი, სულ 1 კვირა ყველა 14 ბავშვზე ორი ინტერვენციონისტი მასწავლებლისა და დამრიგებლის/საგნის ძირითადი მასწავლებლის მონაწილეობით;
 - ფოკუსირებული ტესტის ჩატარება-შემოწმებისთვის უნდა გამოიყოს 2 დღე მაინც.